499.962.1
 მ-541
-1622-
მელიქიძე მ.

499.962.1
 მ-541

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ლერის ასული მელიქიძე

ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის პრინციპები საშუალ ქართულში

სპეციალობა 10.02.01 – ქართველური ენები

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

შემოწმებულია № 54
"16" 04 1998 წ.

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კორნელი დანელია**

საბჭოს ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დამანა მელიქიშვილი**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თედო უთურგაიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნანა ლოლაძე**

წამყვანი ორგანიზაცია – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს **P.10.02.C №6** სხდომაზე 1998 წლის "13" ივნისი 14 სთ-ზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მაღლივი კორპუსი)

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 13 აპრილ

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **გ.ი. წიბახაშვილი**

-1622-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა:

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში შეინიშნება ერთი რომელიმე გრამატიკული კატეგორიის გამომხატველ ფორმათა მრავალფეროვნება და სიჭრელე, რომელსაც შეიძლება აპირობებდეს ნაირგვარი ფაქტორები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საშუალი ქართული, როგორც გარდამავალი ეტაპი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. ეს ვლინდება ობიექტის მრავლობითობის გამოხატვაშიც. არის ისეთი ენობრივი მოვლენები, რომლებიც პირველად სწორედ ამ პერიოდში იჩენს თავს ან ფართოდ ვრცელდება ან პირიქით, კარგავს თავის ძალას.

აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც არსებობს ქართული ენის განვითარების საშუალი ეტაპის კვალიფიკაციის საკითხში, აიხსნება სწორედ იმ გარემოებითაც, რომ დღემდე სრულყოფილად არ ყოფილა შესწავლილი ამ პერიოდის სამწერლობო ენა.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ზმნაში ობიექტურ პირთა (როგორც პირდაპირის, ისე ირიბის) მრავლობითობის გამოხატვის პრინციპებში მომხდარ ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგიის დადგენა საშუალი ქართულის წერილობითი ძეგლების მონაცემთა გათვალისწინებით. იმდენად, რამდენადაც საშუალი ქართულის ადრეულ ეტაპზე შექმნილი ტექსტების გარკვეული ნაწილი ჩვენამდე გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული და, ამასთანავე საკმაოდ შერყვნილადაც, ასეთი ტექსტების მონაცემთა ჯეროვანი